



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის



KA060147084202415

ბრძანება №406

ქ. თბილისი

19 / ივნისი / 2015 წ.

მდ. ხედეთურზე შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს დაბალზღურბლიანი კაშხლის ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №31; 18.06.2015 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და საშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდ. ხედეთურზე შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს დაბალზღურბლიანი კაშხლის ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№31; 18.06.2015) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და საშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წერილები (04/394; 02.06.2015 და #04/425; 05.06.2015); ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№ 31; 18.06.2015).

მინისტრი

ქ. აგუაშვილი

გიგლა აგულაშვილი



საქართველოს ბარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ 31

18 ივნისი 2015 წ.

1. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – მდ. ხედეთურზე დაბალზღურბლიანი კაშხლის ექსპლუატაცია.
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“. ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №2.
3. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა – ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. სადმელი.
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 2.06.2015; 5.06.2015 წ.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „გამა კონსალტინგი“

II ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი:

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. სადმელთან მდ. ხედეთურზე, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“-ს დაბალზღურბლიანი კაშხლის ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

აღსანიშნავია, რომ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“-ს მიერ პროექტი განხორციელებულია მშენებლობის ნებართვის გარეშე. ამასანავე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2014 წლის 13 ოქტომბერს მდ. ხედეთურზე სათაო ნაგებობის მოწყობის პროექტზე გაცემულია უარყოფითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N51.

გზშ-ს ანგარიშის თანახმად:

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“-ს მიერ მდ. ხედეთურზე კაშხლის მოწყობის გადაწყვეტილება მიღებული იქნა მდ. ხედეთურის წყლის „რაჭა ჰესის“ სადერივაციო სისტემაში დამატების მიზნით. მდ. ხედეთურზე მოწყობილ სათავე კვანძის შემადგენლობაში შედის კაშხალი, ერთკამერიანი პერიოდული რეცხვის სალექარი და მდ. რიცეულას გადამკვეთი მილხიდი, რომლის საშუალებითაც მოხდება მდ. ხედეთურის წყლის ჩაშვება რაჭა ჰესის სადერივაციო სისტემაში.

განსახილველი სათავე კვანძი და დაკიდული მილხიდი მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სადმელის მიმდებარედ. მდ. რიცეულასა და მისი მარჯვენა შენაკადის - ხედეთურის ხეობაში. ჰიდროტექნიკური ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიები დაუსახლებელია. საკვლევი ტერიტორიიდან პირდაპირი მანძილი უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე (სოფ. სადმელამდე) აღემატება 5 კმ-ს. სათავე კვანძის განთავსების ტერიტორიაზე მოწყობილია რაჭა ჰესის ჰიდროტექნიკური ნაგებობები (სადერივაციო არხი

და სადერივაციო გვირაბის შესასვლელი პორტალი) და მდ. რიცეულას მარჯვენა ნაპირზე გამავალი გრუნტის გზა.

მდ. ხედეთურზე დაბალზღურბლიანი კაშხლის პროექტირების ეტაპზე განიხილებოდა მისი განთავსების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი და აღნიშნული ალტერნატიული ვარიანტები წარმოდგენილია გზშ-ს ანგარიშში.

ანგარიშში განხილულია კაშხლის განთავსების ტერიტორიის კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები, გეოლოგია, სეისმური პირობები, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა. ჩატარებული საველე კვლევების მიხედვით ჰიდროტექნიკური ნაგებობების განთავსების უბნებზე საშიში გეოლოგიური პროცესები არ აღინიშნება.

საკვლევ ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, სათავე კვანძის გასწორში ექსკავატორით გაჭრილი იქნა თხრილი, გარდა ამისა მილხიდის საყრდენებთან და ანკერებთან გაყვანილი იქნა ოთხი შურფი. გრუნტების ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილი გრუნტები წარმოადგენს მტკიცე კლდოვან ქანებს და ხელსაყრელია მშენებლობისთვის. რაც შეეხება ერთ-ერთ შურფში აღმოჩენილ გრუნტის წყალს, რომელიც გამოვლენილი იქნა 5,5 მ სიღრმეზე არ არის აგრესიული ბეტონისა და მეტალის მიმართ.

მდ. ხედეთური ჰიდროლოგიური თვალსაზრისით შეუსწავლელ მდინარეთა კატეგორიას მიეკუთვნება, ამიტომ მისი საშუალო მრავალწლიური ხარჯების გაანგარიშება ჩატარებულია სამი მეთოდით, კერძოდ:

- მეთოდი, რომელიც მოცემულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში დამუშავებულ მონოგრაფიაში - „საქართველოს წყლის ბალანსი“ [ლ. ვლადიმეროვი, დ. შაქარიშვილი, თ. გაბრიჩიძე. მეცნიერება. თბილისი. 1974];
- მეთოდი, რომელიც მოცემულია ჰიდროლოგიურ ცნობარში - „სსრ კავშირის ზედაპირული წყლის რესურსები“. ტომი IX. გამოშვება [გ. ხმალამის რედაქციით. ლენინგრადი. 1969];
- ანალოგიის მეთოდით.

პირველი მეთოდის მიხედვით მდ. ხედეთურის საშუალო მრავალწლიური ხარჯი 0,55 მ³/წმ-ია, მეორე მეთოდის თანახმად - 0,568 მ³/წმ-ია, ხოლო მესამე მეთოდის თანახმად - 0,56 მ³/წმ-ია.

გარდა ამისა 2014 წლის იანვრიდან შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ აწარმოებს მდ. რიცეულასა და მდ. ხედეთურის ხარჯების ყოველდღიურ გაზომვებს. ჩატარებული გაზომვების შედეგების მიხედვით მდ. ხედეთურის 2014 წლის საშუალო წლიურმა ხარჯმა შეადგინა 0,47 მ³/წმ.

განსახილველი კაშხლის ფუძის ნიშნული ზღვის დონიდან 890 მეტრზეა განთავსებული, მისი სიმაღლე შეადგენს 4 მეტრს. სათავე კვანძზე მოწყობილია 4 მ სიგანის გამრეცხი ფარი და 16 მ სიგანის წყალსაშვი. აღნიშნული ნაგებობების პარამეტრები გათვალისწინებულია მდინარეში კატასტრიფული ხარჯის გატარებაზე. კაშხლის ფუძის გარეცხვისაგან დაცვის მიზნით, კაშხლის ფსკერზე მოწყობილია ჩამქრობი კედელი. სათავე ნაგებობა ასევე აღჭურვილია გვერდითი, ღია ტიპის წყალმიმღებით, რომლის სიმაღლეა 2 მ, ხოლო სიგანე - 1.5 მ.

სათავე კვანძზე მოწყობილია საფეხურებიანი თევზსავალი, რომლის დანიშნულებაც თევზის გატარება ქვედა ბიეფიდან ზედა ბიეფში. თევზსავალი შედგება განივტიხრებიანი ღარებისგან. ტიხრებში მოწყობილია გასაცური ხვრეტები, რომლებიც რიგრიგობით არის განლაგებული ღარის ხან ერთ ხან მეორე გვერდით კედელზე.

სათავე კვანძის შემადგენლობაში შედის ასევე პერიოდული რეცხვის ერთკამერიანი სალექარი, რომლის მუშა კამერის სიგრძეა 14.0 მ, ხოლო სიგანე - 2,5 მ. სალექარი ზემოდან გადახურულია რკინაბეტონით. სალექარის ბოლოში მოწყობილია ჩაძირული წყალსაშვიანი ნაწილი, ხოლო მის უკან - დერივაციულ არხში შესასვლელი პორტალი.

სალექარის ბოლოსთან მოწყობილია დაკიდული მილხიდი, რომელიც მიემართება დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, გადაკვეთს მდ. რიცეულას და უერთდება მდინარის მარცხენა სანაპირო ფერდობზე გამავალ დახურულ სადერივაციო არხს. არხზე მიერთებამდე მილხიდის დერეფანი აკეთებს დაახლოებით 90°-იან მოხვევას სამხრეთის მიმართულებით. მილხიდის სიგრძე 120 მეტრია, ხოლო დიამეტრი - 0,7 მ. მილსადენის დიამეტრი გათვლილია 1.0 მ³/წმ წყლის საანგარიშო ხარჯზე. მომსახურე პერსონალის

უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, როგორც სათავე კვანძზე, ასევე დაკიდულ მილხიდზე მოწყობილია მოაჯირები.

ხედეთურის კაშხლის გასწორიდან მდ. რიცეულამდე მანძილი 70 მეტრია. შესაბამისად, აღნიშნულ მონაკვეთზე მოსალოდნელი იქნება მდინარის ბუნებრივი ხარჯის შემცირება. მდინარეში წყლის ხარჯის შემცირება თავის მხრივ ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს ბიოლოგიურ გარემოზე, განსაკუთრებით კი იქთიოფაუნაზე. მდ. ხედეთური წარმოადგენს მცირედებეტიან მდინარეს და მისი გამოყენება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მდინარის კალმახის მიერ (წითელი ნუსხის სახეობა). ამიტომ, ხედეთურის სათავე კვანძისთვის დადგენილი იქნა იმ რაოდენობის ეკოლოგიური ხარჯი, რომელიც საკმარისი იქნება კალმახის მდ. ხედეთურის ზემო ბიეფში გადაადგილებისათვის. ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობად მიღებულია 0,117 მ³/წმ (რაც თეორიული გაანგარიშებებით მიღებულ საშუალო მრავალწლიური ხარჯის 21,3%-ს შეადგენს, ხოლო პრაქტიკული გაზომვებით მიღებულ საშუალო წლიური ხარჯის თითქმის 25%-ია).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მდ. ხედეთური წარმოადგენს მდ. რიცეულას მნიშვნელოვან შენაკადს, რომელიც განთავსებულია რაჭა ჰესის სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში. მდ. ხედეთურში წყლის ხარჯის შემცირება კიდევ უფრო გაამძაფრებს მდ. რიცეულას კალაპოტში წყლის ხარჯის შემცირებით გამოწვეულ ზემოქმედებას ბიოლოგიურ გარემოზე. ვინაიდან მდ. რიცეულა და მდ. ხედეთური იქთიოფაუნისთვის წარმოადგენენ ერთიან ეკოსისტემას, ზემოქმედების მასშტაბიც განხილულია საერთო ჯამში და შეფასებულია როგორც ძალიან მაღალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოქმედების შემცირების მიზნით, აუცილებელია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.

შემარბილებელ ღონისძიებად განსაზღვრულია მდ. ხედეთურის და მდ. რიცეულას ჰიდროლოგიური პარამეტრების კვლევა და საჭიროებისამებრ ეკოლოგიური ხარჯის კორექტირება. გარდა ამისა, იქთიოფაუნაზე მიყენებული ზიანის კომპენსაციის მიზნით, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ მიღებული იქნა გადაწვეტილება მდ. რიცეულას და მდ. ხედეთურის კაშხლების ზედა ბიეფებში ყოველწლიურად გაშვებული იქნას მდინარის კალმახის 20 000 ცალი ლიფსიტა.

პროექტის განხორციელებამ გარკვეული უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა ჰიდროტექნიკური ნაგებობების განთავსების და სამშენებლო მოედნების ტერიტორიებზე გავრცელებულ ხე-მცენარეებზე და ნიადაგის საფარზე.

კაშხლის ექსპლუატაციის ეტაპზე მდ. ხედეთურზე მოწყობილ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე პერსონალის მუდმივი მორიგეობა გათვალისწინებული არ არის. მდ. ხედეთურის ჩამონადენის, ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის ასევე, ნატანის დაგროვების მონიტორინგი განხორციელდება რაჭა ჰესის ოპერირებაზე დასაქმებული პერსონალის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე ხედეთურის ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე როგორც ტექნიკური, ასევე სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგება გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად რაიმე სახის ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ასევე არ არის მოსალოდნელი რაიმე ტიპის ნარჩენების წარმოქმნა. სამეურნეო-ფეკალური წყლების და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად გამოყენებული იქნება რაჭა ჰესის უკვე არსებული ინფრასტრუქტურა. მიუხედავად იმისა, რომ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე პერსონალის მუდმივი მორიგეობა გათვალისწინებული არ არის, სათავე კვანძის განთავსების ტერიტორიაზე მაინც მოეწყო მომსახურე პერსონალის დასასვენებელი და თავშესაფარი ჯიხური.

მდ. ხედეთურზე კაშხლის გამართული ექსპლუატაცია არ არის დაკავშირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევასა და ხმაურის გავრცელებასთან. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასა და ხმაურის გავრცელებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სარემონტო სამუშაოების წარმოებისას და აღნიშნული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის „გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა“, „გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა“, „ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“ და საანგარიშო კვებებში მდ. რიცეულას და მდ. ხედეთურის ხარჯების 2014 წლის ყოველდღიური გაზომვის შედეგები.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგენილი პირობები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები:

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

1. უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებების და ასევე გზშ-ს ანგარიშით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად.
2. მდ. ხედეთურზე მოწყობილი დაბალზღურბლიანი კაშხლისა და სადაწნეო მილსადენის ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.
3. ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს კაშხლის ზედა ბიეფში ჰიდროლოგიური პარამეტრების ყოველდღიური აღრიცხვა და აღნიშნული პარამეტრების კვარტალში ერთხელ წარმოდგენა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.
4. ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს კაშხლის ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის გატარებაზე, ჰიდროტექნიკური ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობაზე და თევზსავალის ეფექტურობაზე ყოველდღიური მონიტორინგის დაწესება.
5. ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს იქტიოფაუნაზე (როგორც მდ. ხედეთურზე ისე მდ. რიცეულაზე) მონიტორინგის დაწესება. იმ შემთხვევაში თუ მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთება დადგენილი ეკოლოგიური ხარჯის (0,117 მ³/წმ-ს) გაზრდის აუცილებლობა, საქმიანობა განახორციელოს მონიტორინგის შედეგად დადგენილი ახალი გაზრდილი, ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისად.
6. ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს მშენებლობის პროცესში დაზიანებულ უბნებზე სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება.

IV. დასკვნა

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“-ს მდ. ხედეთურზე, დაბალზღურბლიანი კაშხლის ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე დასკვნის III თავში გათვალისწინებული პირობების დაცვით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

თამარ შარაშიძე
(ნახელი, გვარი)

ბ.ა.



საქართველოს გაერთიანებული კორპორაციის და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-26

13/01/2020

ქ. თბილისი

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ მდ. ხედეთურზე დაბალზღურბლიანი კაშხლის ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2019 წლის 25 დეკემბერს სამინისტროს მომართა შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2015 წელს სამინისტროს მიერ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ მდ. ხედეთურზე დაბალზღურბლიანი კაშხლის ექსპლუატაციაზე გაიცა №31 (18.06.2015) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2015 წლის №31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „მდ. ხედეთურზე შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“-ს დაბალზღურბლიანი კაშხლის ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ივნისის №ი-406 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2015 წლის №31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მდ. ხედეთურზე დაბალზღურბლიანი კაშხლის ექსპლუატაციაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №31; 18.06.2015);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მდ. ხედეთურზე შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს დაბალზღურბლიანი კაშხლის ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ივნისის №ი-406 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი